

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	168,419.0	134,726.8	138,150.0		138,150.0
გადასახადები	80,404.6	65,314.0	71,895.9		71,895.9
გრანტები	38,463.2	46,444.6	45,900.0		45,900.0
სხვა შემოსავლები	49,551.2	22,968.2	20,354.1		20,354.1
ხარჯები	97,154.5	93,858.4	92,943.8		92,943.8
შრომის ანაზღაურება	21,970.3	24,614.5	25,115.5		25,115.5
საქონელი და მომსახურება	36,276.4	38,521.4	39,754.4		39,754.4
პროცენტი	4,686.0	359.4	258.9		258.9
სუბსიდიები	16,207.3	14,756.4	11,993.3		11,993.3
გრანტები	3.2	15.5	15.0		15.0
სოციალური უზრუნველყოფა	9,327.9	8,913.6	9,799.7		9,799.7
სხვა ხარჯები	8,683.6	6,677.6	6,007.0		6,007.0
საოპერაციო სალდო	71,264.5	40,868.4	45,206.2		45,206.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	50,803.7	52,069.3	42,149.7		42,149.7
ზრდა	59,628.2	63,069.3	54,999.7		54,999.7
კლება	8,824.4	11,000.0	12,850.0		12,850.0
მთლიანი სალდო	20,460.8	-11,200.9	3,056.5		3,056.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,652.0	-13,147.7			

ზრდა	4,652.0				
ვალუტა და დეპოზიტები	4,652.0				
კლება		13,147.7			
ვალუტა და დეპოზიტები		13,147.7			
ვალდებულებების ცვლილება	-15,808.8	-1,946.8	-3,056.5		-3,056.5
კლება	15,808.8	1,946.8	3,056.5		3,056.5
საშინაო	15,808.8	1,946.8	3,056.5		3,056.5
ბალანსი	0	0	0	0	0

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	177,243.5	145,726.8	151,000.0		151,000.0
შემოსავლები	168,419.0	134,726.8	138,150.0		138,150.0
არაფინანსური აქტივების კლება	8,824.4	11,000.0	12,850.0		12,850.0
გადასახდელები	172,591.5	158,874.5	151,000.0		151,000.0
ხარჯები	97,154.5	93,858.4	92,943.8		92,943.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	59,628.2	63,069.3	54,999.7		54,999.7
ვალდებულებების კლება	15,808.8	1,946.8	3,056.5		3,056.5
ნაშთის ცვლილება	4,652.0	-13,147.7	0.0		0.0

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 138,150.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
შემოსავლები	168,419.0	134,726.8	138,150.0

გადასახადები	80,404.6	65,314.0	71,895.9
გრანტები	38,463.2	46,444.6	45,900.0
სხვა შემოსავლები	49,551.2	22,968.2	20,354.1

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 71,895.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
11	გადასახადები	80,404.6	65,314.0	71,895.9
113	გადასახადები ქონებაზე	29,937.2	24,000.0	29,000.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	29,937.2	24,000.0	29,000.0
11311	ქონების გადასახადი	29,937.2	24,000.0	29,000.0
113111- 113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	25,868.1	20,600.0	25,400.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,129.7	1,700.0	1,900.0
113114- 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1,939.3	1,700.0	1,700.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადები	50,467.5	41,314.0	42,895.9

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 45,900.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
13	გრანტები	38,463.2	46,444.6	45,900.0
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	38,463.2	46,444.6	45,900.0
	<i>მიმდინარე დანიშნულების გრანტები</i>	<i>5,201.5</i>	<i>8,000.0</i>	<i>900.0</i>
133121	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	5,201.5	8,000.0	900.0
1331211	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	5,201.5	8,000.0	900.0

	კაპიტალური დანიშნულების გრანტები	33,261.7	38,444.6	45,000.0
133112	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	3,931.9	2,144.6	
1331123	სხვა ტრანსფერი	3,931.9	2,144.6	
133212	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	29,329.9	36,300.0	45,000.0
1332122	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	29,329.9	36,300.0	45,000.0

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 20,354.1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	49,551.2	22,968.2	20,354.1
141	შემოსავლები საკუთრებიდან	4,337.5	5,118.2	1,579.1
1411	პროცენტები	1,525.1	1,110.9	310.0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	1,525.1	1,110.9	310.0
1412	დივიდენდები	838.0	3,500.0	
14121	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	838.0	3,500.0	
1415	რენტა	1,974.4	507.3	1,269.1
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	145.4	150.0	150.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,829.1	357.3	1,119.1
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	36,480.9	12,550.0	14,050.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	36,476.4	12,550.0	14,050.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	1,123.8	850.0	500.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	1,123.8	850.0	500.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	2.5		
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.0		

142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	31,967.1	9,100.0	10,500.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,743.1	2,600.0	3,050.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	636.8		
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4.6		
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	4.6		
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	4.6		
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	6,527.8	4,300.0	4,150.0
144	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2,205.0	1,000.0	575.0

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 92,943.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
2	ხარჯები	97,154.5	93,858.4	92,943.8
21	შრომის ანაზღაურება	21,970.3	24,614.5	25,115.5
22	საქონელი და მომსახურება	36,276.4	38,521.4	39,754.4
24	პროცენტი	4,686.0	359.4	258.9
25	სუბსიდიები	16,207.3	14,756.4	11,993.3
26	გრანტები	3.2	15.5	15.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	9,327.9	8,913.6	9,799.7
28	სხვა ხარჯები	8,683.6	6,677.6	6,007.0

მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 42,149.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 54,999.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	54.8	78.7	59.0
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	53,944.9	56,892.6	44,979.6
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,252.2	2,963.7	6,347.6
04 00	განათლება	1,327.8	1,999.2	295.8
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	570.7	689.1	2,035.7
06 00	ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	61.9	52.3	22.0
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	49.2	122.0	1,260.0
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	366.6	271.7	
სულ		59,628.2	63,069.3	54,999.7

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 12,850.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	8,824.4	11,000.0	12,850.0
311	ძირითადი აქტივები	1,183.5		
314	არამწარმოებლური აქტივები	7,640.9	11,000.0	12,850.0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 147,943.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
7	სულ	156,782.7	156,927.7	147,943.5
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	14,523.5	14,843.5	15,856.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6,732.3	8,252.3	8,182.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,720.3	7,002.3	6,932.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	12.0	1,250.0	1,250.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	3,105.1	6,131.8	7,314.7
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	3,105.1	6,131.8	7,314.7
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4,686.0	359.4	258.9
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.1	100.0	100.0
702	თავდაცვა	11.6	19.9	25.0
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	11.6	19.9	25.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	46,724.5	42,717.2	43,431.3
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	59.5	30.0	48.0
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები	59.5	30.0	48.0
7045	ტრანსპორტი	45,957.9	42,043.3	42,822.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	45,957.9	42,043.3	42,822.9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	707.1	643.9	560.4
705	გარემოს დაცვა	12,766.7	17,007.2	17,701.1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	9,298.0	9,914.0	10,112.5

7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3,468.7	7,093.2	7,588.6
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	31,668.2	34,209.8	17,986.5
7061	ბინათმშენებლობა	1,909.1	1,648.4	217.4
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	6,140.1	4,918.0	4,010.2
7063	წყალმომარაგება	16,159.0	19,778.0	6,318.3
7064	გარე განათება	4,252.2	4,736.0	4,326.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,207.8	3,129.4	3,113.8
707	ჯანმრთელობის დაცვა	5,636.5	3,765.2	4,487.6
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	888.4	739.0	1,057.3
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	888.4	739.0	1,057.3
7072	ამბულატორიული მომსახურება	157.5	182.5	158.9
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	157.5	182.5	158.9
7073	საავადმყოფოების მომსახურება	449.8	490.2	483.6
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	140.0	45.2	38.6
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	309.8	445.0	445.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2,043.3		
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	6.9		
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	2,090.6	2,353.5	2,787.8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	19,477.9	17,925.4	22,426.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	13,321.0	11,847.0	16,393.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	5,998.9	6,044.3	5,727.7
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	158.1	34.1	304.9
709	განათლება	15,957.8	16,424.7	15,377.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	15,779.1	16,308.8	15,266.0
7092	ზოგადი განათლება	10.8	13.9	11.0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	10.8	13.9	11.0
7094	უმაღლესი განათლება	100.0	100.0	100.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	100.0	100.0	100.0

7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	67.9	2.0	
710	სოციალური დაცვა	10,016.0	10,014.8	10,652.6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2,273.4	2,726.8	2,857.1
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	6,379.9	7,288.0	7,795.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,362.7		

მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 3,056.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	4,652.0	-13,147.7	
	ზრდა	4,652.0		
321	საშინაო	4,652.0		
3212	ვალუტა და დეპოზიტები	4,652.0		
	კლება		13,147.7	
322	საშინაო		13,147.7	
3222	ვალუტა და დეპოზიტები		13,147.7	

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 3,056.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 3,056.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-15,808.8	-1,946.8	-3,056.5
	კლება	15,808.8	1,946.8	3,056.5

331	საშინაო	15,808.8	1,946.8	3,056.5
-----	---------	----------	---------	---------

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2021 წლის ბოლოსთვის

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	ვალის ნაშთი 2021 წლის ბოლოსათვის
	ვალის საპროგნოზო მოცულობა	338,362.9
1	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის I ფაზა (KfW) *	58,702.8
2	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზა (KfW) *	71,587.3
3	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის III ფაზა - (KfW) *	47,375.6
4	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის III ფაზა - სანიაღვრე (KfW) *	27,184.6
5	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის IV ფაზა (KfW) *	116,700.0
6	ბათუმის ავტობუსის პროექტი (EBRD) *	16,812.6

შენიშვნა * - საპროგნოზოდ გამოყენებული (ლარი/ევროს) სავარაუდო კურსი 1/3.89

თავი II
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1 პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში. კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებსა და დონეს. ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. კეთილმოწყობილი ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ქალაქის მოვლილი და განათებული ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.

აუცილებელია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა; საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა; გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;

- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება

1.1.1 გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

- ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

1.1.2 საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)

ქვეპროგრამა მოიცავს ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის ერთიანი თანამედროვე სტანდარტის დანერგვას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

- ლერმონტოვის ქუჩის გაგრძელება გენ. ას. აბაშიძის ქუჩამდე;
- ქ. ბათუმში, ანგისის ქუჩის კეთილმოწყობა;
- მესხეთის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ქ. ბათუმში სულაბერიძის ქუჩის მონაკვეთის (ბაგრატიონის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე) მიმართულებით (I ეტაპი) სამუშაოები;
- ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა-მონტაჟი;
- პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება;
- ქ. ბათუმში, ნ. გოგოლის ქუჩის მონაკვეთის (წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებლის ქუჩიდან ი. ნონეშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის გაგრძელება კეთელმოწყობა;
- სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (ქ. ბათუმში, ანა კალანდაძის ქუჩა N92; ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N17; ქ. ბათუმში, ყადირ შერვაშიძის აღმართი N52; ქ. ბათუმში, ბათუმგორის ქუჩა N29; ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება N6; ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება N12; ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება N65, ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N79; ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N67; ქ. ბათუმში ზედაღელეს დასახლება N34-ის მიმდებარედ რკ./ბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობა; ქ. ბათუმში კვიპაროსის N43-ის მიმდებარედ რკ./ბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობა; ქ. ბათუმში, ზედაღელეს დასახლება N69; ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N38; ქ. ბათუმში, წმინდა ნინოს I-ჩიხი N1; ქ. ბათუმში, პეტრე იბერის ქუჩა N6; ქ. ბათუმში, ი. ჯინჭარაძის ქუჩა N17.);
- ხახულისა და კახაბრის ქუჩების კვეთაში N1 საავტომობილო ხიდის მოწყობა;
- ხახულისა და კახაბრის ქუჩების კვეთაში N2 საავტომობილო ხიდის მოწყობა;
- იოანე ლაზის ქუჩის ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები;
- ბეთლემის ქუჩაზე ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ბედიას ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩის მონაკვეთებში მხედველობა დაქვეითებულთათვის განკუთვნილი ბილიკის მოწყობა და გადასასვლელებზე ტროტუარის ბორდიურის სიმაღლის დაყვანა ნულოვან ნიშნულზე;
- ქ. ბათუმში, ი. ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთებში მხედველობა დაქვეითებულთათვის

განკუთვნილი ბილიკის მოწყობა და გადასასვლელებზე ტროტუარის ბორდიურის სიმაღლის დაყვანა ნულოვან ნიშნულზე;

ქ. ბათუმში, ბაღის ქუჩის პირველი შესახვევის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩის (მარტავას წრიულიდან ვ. ფშაველას ქუჩამდე) რეაბილიტაციის სამუშაოები;

ქ. ბათუმის, ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე - სამრეწველო ზონის მიმდებარედ (ადგილობრივი მნიშვნელობის გზის "მახოს ხიდი-გონიოს ხიდისა" და "გეზის მიმდებარედ) მთავარი და მეორე ხარისხოვანი გზის მშენებლობა - მოწყობის სამუშაოები;

ქ. ბათუმში, მ. ვარშანიძის VI ჩიხის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის მეორე შესახვევის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის I და II შესახვევის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;

სარაჯიშვილის ქუჩის (სანიაღვრეთი) კეთილმოწყობა;

დ. სვიშვესკის ქუჩის კეთილმოწყობა; დ. სვიშვესკის I შესახვევის, I და II ჩიხის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ე.წ. „ბარცხანის“ ხიდის რეაბილიტაცია;

ი. გრიშაშვილის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები;

ი. გრიშაშვილის ჩიხის კეთილმოწყობის სამუშაოები;

გ. ჩოხელის ქუჩის I ჩიხის კეთილმოწყობა;

გ. ჩოხელის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მაჭახლის ქ. N41-დან N59-დე მონაკვეთის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის VII ჩიხის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის III ჩიხის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ზედადელეს ქ. N2-დან N20-მდე მონაკვეთში ფეხით მოსიარულეთა სავალი ბილიკის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირის მე-9 შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოები;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები - ქ. ბათუმში, მ. შარაშიძის N70, ქ. ბათუმში, ურეხის დას. #25 დან #56 მდე გზის მიმდებარედ, ქ. ბათუმში, ყ. შერვაშიძის აღმართი №4, ქ. ბათუმში, მაჭახლის №58 გზის გამაგრება, ქ. ბათუმში, მ. ვარშანიძის IV ჩიხი №3, ქ. ბათუმში, თევდორე მღვდლის ქუჩა 1-კმ-ში მისასვლელი გზა, ქ. ბათუმში, წმინდა ნინოს ქ. N9-ის მიმდებარედ რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობა, ქ. ბათუმში, ავგიის ქ. №16 ქ. ბათუმში, იოანე ლაზის I შესახვევი №29, ქ. ბათუმში, პეტრე იბერის II ჩიხი №7, ქ. ბათუმში, ჰორტენზიის ქ. №4-ის მიმდებარედ დამცავი კედლის მოწყობა, ქ. ბათუმში, კვიპაროსის №42, ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქ. №16-ში ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები, ქ. ბათუმში, სათნოების I ჩიხი №7-ის მიმდებარედ საავტომობილო გზა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძისა და ზედადელის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხზე დამცავი მოაჯირის მოწყობა,

მაიაკოვსკის ქუჩაზე არსებული გზაგამყოფის ლითონის დეკორატიული ღობის მოწყობა,

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N177 ხიდბოგირის მოწყობა,

ქ. ბათუმში, პეტრე იბერიის ქ. N3-ს მიმდებარედ სტიქიის შედეგად ადიდებული მდინარის მიერ დაზიანებული ხიდბოგირის აღდგენა,

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის 2 შესახვევში #16 მიმდებარედ ხიდბოგირისა და ფერდსამაგრი კედლების რეაბილიტაცია-მოწყობა,

ქ. ბათუმში, ანგისის პირველ შესახვევში, #74-სა და #76-ს შორის საავტომობილო ხიდის დემონტაჟი და ახლის მოწყობა,

ქ.ბათუმში, მახვილურის დასახლებაში N1 მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა,
 ქ.ბათუმში, ჰელიმიშის ქ. N84-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ხიდის რეაბილიტაცია,
 ქ.ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩაზე ფრ. ხალვაშის გამზირიდან მდ. მეჯინისწალამდე
 მონაკვეთში ორი ხიდბოგირის მოწყობა,
 ქ.ბათუმში, ზედადელეს ქ. N34 ხიდბოგირის მოწყობა;
 გონიოს დასახლებაში საპლანტაციო გზის ზედა მონაკვეთში ორი ხიდბოგირის მოწყობა;
 ქ.ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე ი.ჯავახიშვილის ქუჩიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე
 (მაგნოლიის ირგვლივ) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია;
 მარკოზ აჭარელის მესამე შესახვევი №39-ის მიმდებარედ გზის მონაკვეთის კეთილმოწყობის
 სამუშაოები; თამარ მეფის გამზირის მე-4 შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოები;
 ხიმშიაშვილის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა: ი. ჯავახიშვილის ქუჩის
 კეთილმოწყობა (ტბელ აბუსერიძის ქუჩიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე), ჟილინის არხის
 მიმდებარე ქუჩის კეთილმოწყობა;
 ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის
 თანადაფინანსება (მეოთხე ფაზის) ფარგლებში მიმდინარე წყალარინების სისტემის
 სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ დაზიანებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები - მეორე
 ეტაპი.

1.1.3 გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01 06)

ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების სისტემის გაფართოებას და გამართული
 ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

გარე განათების წერტილის მოვლა-ექსპლოატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი;

1.1.4 საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 01 07)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ,
 გათვალისწინებულია:

არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-
 შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

ახალი ბოძკინტების შეძენა;

1.2 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი - სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური
 სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა
 მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.
 მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას,
 რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. აქედან გამომდინარე მუნიციპალური
 სატრანსპორტო ქსელის გამართული ფუნქციონირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია
 მოსახლეობისათვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - 'ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო

ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

1.2.1 მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კერძოდ: შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);

1.3 საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის მიზანი - ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი გულისხმობს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას.

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება.

1.3.1 სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01-02 03 05)

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია; სანიაღვრე ჭის სახურავების შეძენა.

ქალაქის სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაცია

1.3.2 ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-3 და მე-4 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, კერძოდ ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

1.4 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებასა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა; მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: საცხოვრებელი სახლების მშენებლობა; ავარიული სახლების რეაბილიტაცია-დემონტაჟი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; სხვადასხვა ტიპის საცხოვრისის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო.

1.4.1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 03)

ქვეპროგრამის მიზანია საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა. რომლის ფარგლებში განხორციელდება:

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის არსებული ატრაქციონების რეაბილიტაცია და ახალი ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი;

'მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

ქ. ბათუმში, გორგილამის ქ. N86ა-ში მდებარე შენობის გამაგრება-გადლიერება.

1.4.2 საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 04)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის მიზნით განხორციელდება აპლიკანტი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა - ოჯახებში ვიზიტი და ინტერვიუს წარმოება-ანკეტის შევსება, შემსყიდველის მიერ დადგენილი კრიტერიუმებისა და შერჩევის ინსტრუმენტის მიხედვით ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭება და რეიტინგის მიხედვით მონაცემთა ბაზის შექმნა.

ასევე განხორციელდება ქ. ბათუმში 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე საოჯახო ტიპის სახლისა და ეზოს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

1.5 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის მიზანი - მუნიციპალური სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მოვლა-პატრონობაში აქვს 44.3 ჰა მუნიციპალური სასაფ-

ლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც ხორციელდება, როგორც მოვლა-პატრონობის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები. საჭიროა მუდ-მივი მუშაობა სასაფლაოების ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომი მომსახურების სერვისით უზრუნველყოფისათვის. სასაფლაოების პასპორტიზაციის დასრულებით მუნიციპალიტეტს ექნება ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია თავისუფალი, უპატრონო და სამემკვიდრეო სასაფლაოების შესახებ. ამასთან შექმნილი სრული ბაზა და საფლაოების ნომერაცია გაადვილებს საფლავის ძებნას და მემკვიდრის დადგენას. პასპორტიზაციით უკვე მიღებულია პირველი შედეგები, უსახელო საფლაოების მოძიებასა და მეპატრონის დაზუსტების საქმეში, აგრეთვე მნიშვნელოვანია ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა, სასაფლაოზე საფლაოების დასუფთავების, მუშა-მესაფლაოეების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა. საფლაოებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფასა და დაკრძალვის პროცესზე ყოველდღიური მონიტორინგის განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზრუნველყოფილია მუნიციპალური სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

1.5.1 მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

1.6 ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის მიზანი - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა-პატრონობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქ ბათუმის სტრატეგიული განვითარებისათვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობისა და განვითარების ღონისძიებები ხორციელდება შეუფერხებლად.

1.6.1 ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

ქვეპროგრამის მიზანია - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია;

სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მართვა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობისათვის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

1.6.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით);

მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა.

1.7 ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის მიზანია ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა, რომლის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

1.7.1 ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 01 - 02 07 02)

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

1.7.2 ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდები 02 07 03)

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

2 პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

2.1 ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ

მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.
- საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

2.1.1 ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;
ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა;
ნარჩენების გატანა;
ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

2.2 ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება.

ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა; ქალაქის გამწვანების ღონისძიებები; ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;
- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო

2.2.1 პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდები 03 02 02)

ინასარიძის ქუჩა #3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
ქ. ბათუმში, ი. კობალაძის ქ. #9-ის მიმდებარედ, (ს.კ. 05.24.07.032) მიწის ნაკვეთზე სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზედადელეს ქ. N16-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა;
ქ. ბათუმში, ი. ჯავახიშვილის ქ. N2ა-4-6 (ძველი სასამართლოს შენობის წინ) სკვერის მოწყობა;
ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. N96-ში სკვერის მოწყობა ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. N96-ში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩაზე ანგისის ხიდის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
ქ. ბათუმში მარკოზ აჭარელის N6-ის (ყოფილი ქავთარაძის ქ. N6) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნის და დასასვენებელი სკვერის მოწყობა ქ. ბათუმში მარკოზ აჭარელის N6-ის (ყოფილი ქავთარაძის ქ. N6) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნის და დასასვენებელი სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და ინფრასტრუქტურის მოწყობა
ქ. ბათუმში, პ. ლორიასა და ტბ. აბუსერიძის ქუჩების კვეთაში არსებული სკვერის კეთილმოწყობა;

ზ. გორგილაძის ქ. N8-ში, მდებარე სსიპ აჭარის ხელოვნების მუზეუმის მიმდებარე

ტერიტორიაზე არსებული შადრევნის (2ცალი) რეაბილიტაცია.

ქ. ბათუმში ღვთისშობლის ეკლესიის მიმდებარედ ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შადრევნის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში ცენტრალური პარკის გარე განათების მოწყობა;

ცენტრალური პარკის დაცვა.

2.2.2 ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

2.2.3 ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)

მართვა ადმინისტრირება;

3 პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

3.1 სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, საადმინისტრაციო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და

განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;

- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო

3.1.1 ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა:

საბავშვო ბაღების მართვა-აღმინისტრირება;

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები.

3.1.2 საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 03)

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

3.2 პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის მიზანი - ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების ზრდის ხელშეწყობა, ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება, ბათუმში მოქმედი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშე.

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა.

ამ ეტაპზე ქალაქში ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 10-მდე კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელთაგანაც ყველაზე დიდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტია. ბათუმში ასევე ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება. უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა, ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სტიმულირების გზით მათი აკადემიური მოსწრების ამაღლება.

მნიშვნელოვანია ასევე სათანადო ყურადღება მიექცეს ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების ცნობადობის გაზრდას განათლების საერთაშორისო ბაზარზე. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს შეუწყობს ქალაქ ბათუმში ახალი, ევროპული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნასა და ფუნქციონირებას, განახორციელებს ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული იმ პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ითვალისწინებენ ამ

